საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2662 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის გაფორმებული დაფინანსებისა და პროექტის იმპლემენტაციის ხელშეკრულება.

2. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 21 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი